საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №35/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 23 მარტის №35 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 21 მაისის №35/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას სასამართლოში მიმდინარე დავის შესახებ არ ჰქონდა ინფორმაცია, იგი სასამართლოს სხდომებზე არ იყო მიწვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვით. სასამართლო ვალდებული იყო მოეკვლია მისი ზუსტი მისამართი და მისთვის სარჩელის ჩაბარება მოეხდინა სხვა გზებით, თუნდაც დაევალებინა პოლიციისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლომ სხდომაზე მხარე არ მოიწვია სსკ 70-78-ე მუხლების დაცვით, იგი არ იყო უფლებამოსილი მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ასევე საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლოს ბოლო სხდომა გაიმართა 2017 წლის 30 იანვარს, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დათარიღებულია 2017 წლის 17 იანვრით, რაც წარმოადგენს დარღვევას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 27 სექტემბერს, -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

2016 წლის 3 ოქტომბერს სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, მოსარჩელეს განესაზღვრა 2 თვიანი ვადა, მოპასუხეებისათვის გზავნილის ჩაბარებისათვის. 2016 წლის 12 ოქტომბერს, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოპასუხე -- -- გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2016 წლის 13 ოქტომბერს -- -- წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სრულად ცნო სარჩელი. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე -- -- ვერ მოხერხდა სარჩელის ჩაბარება, მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის საჯარო გამოქვეყნების გზით მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე, რაც სასამართლოს მხრიდან

დაკმაყოფილდა. მოსამართლემ ჩანიშნა მოსამზადებელი სხდომა, მხარეებს გაუგზავნა უწყება მითითებულ მისამართებზე, -- -- სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა (კურიერის მითითებით იგი არ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე).

მოსამართლემ მთავარი სხდომა გადანიშნა 2017 წლის 17 იანვარს და ამის შესახებ მხარეებს აცნობა 2016 წლის 22 დეკემბრის სხდომის დასრულებისას. მთავარი სხდომის შესახებ უწყება კვლავ გაეგზავნა მოპასუხე -- --, სასამართლოსთვის ცნობილ მისამართზე, თუმცა კვლავ არ ჩაბარდა.

გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე -- -- არ იყო სხდომაზე, სსკ 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დაცვით მიწვეული, სასამართლოს მთავარი სხდომა გადაიდო 2017 წლის 30 იანვარს. 2017 წლის 17 იანვრის განჩინებით, -- -- სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით.

2017 წლის 30 იანვრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ მოსარჩელე მხარე, მოპასუხემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, რაც დაკმაყოფილდა. 2017 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაეგზავნათ მხარეებს, ხოლო -- -- საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარდა გადაწყვეტილება.

2019 წლის 11 აპრილს, -- -- გაასაჩივრა მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება. 2019 წლის 16 აპრილის განჩინებით, საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად, ვინაიდან საჩივარი სასამართლოს წარედგინა ვადის დარღვევით. 2019 წლის 16 აპრილის განჩინება -- -- გაასაჩივრა კერძო საჩივრით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის განჩინებით გაუქმდა -- -- სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დასაშვებობის შემოწმების საპროცესო ეტაპიდან, დაუბრუნდა პირველ ინსტანციას.

2019 წლის 12 სექტემბერს დაინიშნა სასამართლოს სხდომა, -- -- განცხადების განხილვის მიზნით, სხდომის განხილვა გაგრძელდა 2019 წლის 22 ოქტომბერს, შემდგომ კი - 2019 წლის 30 ოქტომბერს. 2019 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე, სასამართლომ მიიღო განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე, რადგანაც დარღვეული იყო განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადა.

2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --. -- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. განჩინება არ საჩივრდება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 21 მაისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 23 მარტის №35 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ იგი სხდომაზე არ იყო მიწვეული საპროცესო კანონმდებლობის წესების დაცვით, შესაბამისად მოსამართლეს არ უნდა განეხილა საქმე მისი დასწრების გარეშე.

შესაბამისად, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლეების მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. აღნიშნული ქვეპუნქტის თანახმად, „დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.[1]

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.[2]

ბანგალორის მეორე ღირებულების პრინციპს წარმოადგენს მიუკერძოებლობა, რომლის თანახმადაც, მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ხოლო 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

ასევე, საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები,

[1] ,,მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 99
[2] მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24
http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf

ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* §28 და §30; *Wettstein v. Switzerland*, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, § 32).

საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა მხრიდან), რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლომ არა ერთი გზით სცადა მისთვის როგორც სარჩელის, ასევე სასამართლო უწყების ჩაბარება, თუმცა ვინაიდან იგი არ ცხოვრობდა მითითებულ მისამართზე, მოსამართლემ სარჩელისა და სხდომის დროის შესახებ მხარეს აცნობა საჯარო შეტყობინების გზით. -- -- ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებაც წარუდგინა სასამართლოს განცხადება და სწორედ აღნიშნული გარემოება მიუთითა, თუმცა განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო, მისი განცხადება სასამართლომ არ განიხილა. განჩინება გაიზიარა და ძალაში დატოვა ზემდგომმა ინსტანციამაც.

ამდენად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებების შეფასებისას არ იკვეთება მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

4.2. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2017 წლის 30 იანვრის სხდომაზე, ხოლო თარიღად მითითებულია 2017 წლის 17 იანვარი, უნდა აღნიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.“ ამდენად, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას, რომელიც შესაძლებელია გამოსწორდეს, თუმცა ამ ეტაპისათვის მისი

შესწორება მხარისათვის რამე სარგებლის მომტანი ვერ იქნება, ვინაიდან თარიღის შესწორებით მხარე ვერავითარ სამართლებრივ შედეგს ვერ მიაღწევს.

მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ დისციპლინური გადაცდომა და სამართლებრივი შეცდომა. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ მიღებულ გადაწყვეტილებაში[3] განმარტა განსხვავება დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის. კერძოდ აღნიშნავს, რომ „დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, მოსამართლემ დაუშვა შეცდომა, მაგრამ იგი ექვემდებარება გამოსწორებას. შეცდომის გამოსწორების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება, უსწორობის გასწორება, ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების გასაჩივრებით შესაძლებელია, ზემდგომმა სასამართლომ აღმოფხვრას ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. უსწორობის გასწორებით, ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრით ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით კი, უშუალოდ შეცდომის დამშვები სასამართლო ასწორებს შეცდომას. ამდენად, ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია დაშვებული შეცდომის შეცვლა და მისი გამოსწორება იმავე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც გამორიცხავს რაიმე უარყოფითი შედეგის მიღებას. მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. აღნიშნული კვალიფიცირდება სამართლებრივ შეცდომად და დაუშვებელია ამ საფუძვლით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაშვებული შეცდომის ხარისხს. თუ მოსამართლის მიერ დაშვებულია ისეთი უმნიშვნელო შეცდომა, რომელსაც არ მოჰყოლია მხარეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა და არც რაიმე უარყოფითი შედეგი მიღებულა, მაშინ მცირე დარღვევის გამო, ქმედება მიიჩნევა სამართლებრივ შეცდომად. გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება ვერ ექცევა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქციის ფარგლებში, იგი ვერ გახდება მსჯელობის საგანი და შესაბამისად ვერ მოხდება მისი სამართლებრივი შეფასება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის

[3] 2013 წლის 12 აპრილს №1/04-12 სადისციპლინო საქმე

უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან - 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №35/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი